სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/166

ქ. თბილისი 26 ივნისი 2018

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით მიღებულ დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით მიღებულ უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში:

ა) დებულების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში. სხდომის მოწვევა შეუძლია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

2.2. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში – მოადგილე;

2.3. სადისერტაციო საბჭოს მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე (მოადგილე) უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს;

2.4. სადისერტაციო საბჭოზე გააქვს საკითხი:

- ხელმძღვანელის დამტკიცების, შეცვლის, დამატების შესახებ;
- თემის დამტკიცების, შეცვლის/კორექტირების შესახებ;
- დისერტაციის დაცვის თარიღის, სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობისა და რეცენზენტების დამტკიცების შესახებ;

შესაბამის მოხსენებით ბარათს წარადგენს სწავლების დეპარტამენტში.

2.5. საბჭოსა და თავმჯდომარის ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს წერილობით უნდა ეცნობოს;

2.6. წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს ჩატარებული საქმიანობის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ".

ბ) ამოღებულ იქნეს დებულებიდან მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები;

გ) ამავე დებულების მე-11 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11.2. დოქტორანტი სხდომას მოახსენებს თავის ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, მეცნიერულ სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას, წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს. დოქტორანტი პასუხობს სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. წინასწარი დაცვის დროს დოქტორანტმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის აუდიო/ვიზუალური მასალა; წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ დეპარტამენტის უფროსი და დამსწრე წევრები. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში; დოქტორანტმა საქართველოში არყოფნის შემთხვევაში, რექტორის ნებართვით, შეიძლება წინასწარი დაცვა ჩაატაროს ონლაინ რეჟიმში (სკაიპით)".

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**